THE JEWISH COMMUNITY OF MTSKHETA AND SAINT NINO
მცხეთის ებრაული თემი და წმინდა ნინო

DAVID CHOCHISHVILI
Doctor of History,
AS.Professor of Gori State University
#53 Chavchavadze av. Gori, Georgia
ch.daviti67@gmail.com, +995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

Abstract

The old Georgian writing paid significant attention to the Christianization of Kartli. The creation, ,,Mokcevai Qartlisai" fully reflects that process. That fact was so important for the author Leontiy Mroveli that he almost completely included that creation in his opus. The historians simultaneously describe to us the process of the spreading of the Christian religion in Kartli and emphasize the great merit of Jewish people in this process. The saint Nino, who directly supported the spreading of Christianity in the Kartli region, was trying to communicate with the local Jewish community because they supported the messianic ideas; they were the guardians of biblical sanctities. They were the representatives of the first Jewish-Christian community who were preaching the Christian religion. The Jews of Mtskheta preserved the memory of the prophet Elijah and the robe of Christ for generations. Hence, that fact emphasized their important sacred significance. The saint Nino interminably preached Christianity, so she always accentuated the significance of those purities. The saint Nino started her mission with the Christianization of the ordinary citizens and finally became closer with the royal family. The queen Nana, who was from Cappadocia, like Nino was, had a significant impact on King Mirian's decision. Hence, she prepared the ground for the spearing of a new faith among all territories of the kingdom. Nino relied on Jews. They were her apostles and like-minded people.

Key words: Jewish community, Christianity, the state religion, the saint Nino, biblical relics.

დავით ჩოჩიშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
საქართველო, გორი, ჭავჭავაძის გამზ. #53
ch.daviti67@gmail.com. +995 577934055
https://orcid.org/0000-0003-0627-5980

აბსტრაქტი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართლის გაქრისტიანების საკითხს. ,,მოქცევაი ქართლისაი" მთლიანად ამ პროცესს ასახავს. ,,ქართლის ცხოვრების" ავტორის ლეონტი მროველისთვის იმდენად

მნიშვნელოვანი იყო ეს ფაქტი, რომ თითქმის მთლიანად შეიტანა ნაწარმოები თავის თხზულებაში. მემატიანეები გადმოგვცემენ ქართლში ქრიტიანობის შემოსვლის ისტორიას და ერთხმად აღნიშნავენ მასში ებრაელების დიდ ღვაწლს. წმინდა ნინო, რომლის უშუალო მონაწილეობით ქრისტიანობა ქართლის მთავარი რელიგია გახდა, ცდილობდა, კავშირი ჰქონოდა ადგილობრივ ებრაულ დიასპორასთან, რადგან ისინი იყვნენ მესიანისტური იდეების გამავრცელებლები, ბიბლიური სიწმინდეების მცველნი, პირველი იუდაურ-ქრისტიანული თემის წევრები და ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები. ის ფაქტი, რომ მცხეთელი ებრაელები თაობების მანძილზე ინახავდნენ ხსოვნას, როგორც ელია წინასწარმეტყველის ხალენის, ისე ქრისტეს კვართის შესახებ, მიუთითებს ამ სიწმინდეების საკრალურ მნიშვნელობაზე. მათი მნიშვნელობის ზრდას ხელს უწყობდა წმინდა ნინოც, რომელიც განუწყვეტლივ ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. მან თავისი მისიის აღსრულება დაიწყო ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქეების გაქრისტიანებით და ბოლოს დაუახლოვდა სამეფო ოჯახსაც. დედოფალმა ნანამ, რომელიც, როგორც ნინო, წარმოშობით კაბადოკიიდან იყო, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეფე მირიანზე და შეამზადა ნიადაგი ახალი რწმენის გასავრცელებლად მთელ სახელმწიფოში. ებრაელები იყვნენ ნინოს დასაყრდენნი, მისი მოწაფეები და თანამოზიარეები.

საძიებო სიტყვები: ებრაული თემი, ქრისტიანობა, სახელმწიფო რელიგია, წმინდა ნინო, ბიბლიური სიწმინდეები.

შესავალი. საქართველოში ებრაელთა დასახლებას ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საუკუნეების მანძილზე მათ არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა ისტორიულ სამშობლოსთან. პირველი ტაძრის შემდეგ, როდესაც კიროს მეორემ აიღო ბაბილონი და ექსორიაქმნილ ებრაელებს ნება დართო დაბრუნებულიყვნენ პალესტინაში[1] ებრაული თემები მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე იყო განფენილი. ერთ-ერთი დიასპორა ებრაელებმა ქართლშიც შექმნეს. ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით ებრაელთა პირველი ნაკადი ქართლში ძვ. წ. V საუკუნეში მოვიდა, როდესაც ქალდეური ბაბილონის ფუძემდებელმა ნაბუქოდონოსორ მეორემ (ძვ. წ. 634-562 წწ.) აიღო იერუსალიმი და მოსახლეობა მასობრივად გადაასახლა ბაბილონში. ქართველ და უცხოელ მკვლევარებს ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება აქვთ[2]. მიუხედავად იმისა, რომ, ებრაელები ქართლში ლტოლვილის სტატუსით მოვიდნენ, საუკუნეების განმავლობაში მათმა ნაწილმა მოახერხა და საკმაოდ მაღალი საფეხური დაიკავა ქართლის სახელმწიფოს

[1] კიროს მეორის (ძვ. სპარს. Kūruš, დაახ. ძვ. წ. 590 - 530 ძვ.წ.) მიერ ებრაელების გათავისუფლება ბაბილონის ტყვეობიდან (ძვ.წ. 586–539) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ძველი მსოფლიოს ისტორიაში. ის უკავშირდება ახალბაბილონის სამეფოს დაცემასა და სპარსეთის იმპერიის აღმავლობას. ებრაელთა ნაწილი დაბრუნდა იერუსალიმში, ნაწილი კი დარჩა ბაბილონში.

[2] ზ. ჭიჭინაძე თვლიდა, რომ ებრაელები ქართლში რამდენჯერმე შემოვიდნენ (ჭიჭინაძე ზ., 1904), ე. მამისთვალიშვილის მიხედვით ებრაელები შესაძლოა ნაბუქოდონოსორის ლაშქრობამდე სარგონ (ძვ. წ. 722-705 წწ.) მე-2 დროსაც შემოსულიყვნენ ქართლში (მამისთვალიშვილი ე., თბ., 1995), ი. დავიდმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ებრაული თემები კავკასიიდან არიან გასული და ისინი მხოლოდ დაბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოში; და რომ ქართველებისა და ებრაელების საერთო ეთნიკური მახასიათებლების კვლევა მომავლის საქმეა (ი. დავიდი, 1976), მ. სანაძე აღნიშნავს, რომ ებრაელების ქართლში მოსვლა მხოლოდ ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ, როდესაც ქართლის ტერიტორიაზე მათ შესახებ არქეოლოგიური მასალა ჩნდება (სანაძე მ., 2001).....

იერარქიულ სისტემაში. ,,მოქცევაი ქართლისაი" იხსენებს მცხეთის ,,მკვიდრ" ებრაელებს. ,,როგორც ქართული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ,,მკვიდრობისა" და ,,მოქალაქეობის" ცნებები იდენტური იყო. იგი შეიძლებოდა ჰქონოდა როგორც ადგილობრივ, აბორიგენ მოსახლეობას, ასევე მოსულ ადამიანსაც, რომელსაც ჩვენთვის გაურკვეველი დამსახურებით შეიძლებოდა ესარგებლა ამ მაღალი სტატუსით. მოგვიანებით, ამ უფლების მინიჭება მეფის პრეროგატივა ხდება. მეფე მირიანი ეუბნება წმინდა ნინოს: ,,...უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე (იგულისხმება დედოფლის ბიძა), განგამდიდრო და გყო მკვიდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა" (ჩოჩიშვილი დ., 2006, 98). ებრაელებმა თან მოიტანეს მესიანისტური იდეები, რომლებიც განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც რომის იმპერიამ ფლავიუსთა დინასტიის მმართველობის დროს დაიპყრო იუდეა, აიღო იერუსალიმი და მიწასთან გაასწორა. ებრაელთა სახელმწიფოებრიობა გაქრა, მოსახლეობა მიმოიფანტა და არასოდეს დაუკარგავს რწმენა, რომ გამოჩნდებოდა მესია, მხსნელი, რომელიც დაუბრუნებდათ ძველ დიდებას. ეს აზრი დომინირებდა ყველა იმ მრავალრიცხოვან დიასპორაში, რომლებიც განფენილი იყო მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. ამ იდეებმა, ბუნებრივია, საქართველოშიც შემოაღწია, სადაც ებრაელები სახლობდნენ. ადგილობრივი მოსახლეობაც იცნობდა ამ იდეებს და მოგვიანებით, როდესაც წმინდა ნინომ ქართლში ქრისტიანობა იქადაგა, მას გარკვეულწილად ნიადაგი სწორედ მესიანისტურმა იდეებმა მოუმზადა.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, კონტენტ-ანალიზი.

შედეგები. ებრაელების როლი ქართლში ქრისტიანობის გავრცელებაში უდავოდ დიდია. ამის ერთ-ერთი დადასტურება ქართულ ისტორიულ წყაროებში მათ მიმართ გამოვლენილი ლოიალური დამოკიდებულებაა. ქართველი ებრაელები ითვლებოდნენ მოსახლეობის იმ ნაწილად, ვინც მონაწილეობა არ მიიღო ქრისტეს გასამართლებაში. მათ უკავშირდება საქართველოში ორი ბიბლიური სიწმინდის-ელია წინასწარმეტყველის ხალენისა და ქრისტეს კვართის ჩამოტანა. ებრაელებმა ქართლში საკმაოდ მაღალ სოციალურ სტატუსს მიაღწიეს. წმინდა ნინომ სწორედ ებრაულ მოსახლეობაზე დაყრდნობით დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. ისინი იყვნენ პირველი ქრისტიანები-აბიათარი, მისი ქალიშვილი სიდონია, ექვსი ებრაელი დედაკაცი, სიმბოლური უნდა იყოს ისიც, რომ პირველი სასწაული, რომელიც მცხეთაში ცხოველმყოფელმა სვეტმა მოახდინა, ბრმა ებრაელი ჭაბუკისთვის თვალის ახელა იყო. ის, რომ ებრაელებმა ქართლის სახელმწიფოში ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელებაში დიდი როლი შეასრულეს, ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ქართული ქრისტიანული კულტურა ვერ დაეყრდნობოდა მის წინამორბედ წარმართულ კულტურას. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, ,,ამ კულტურის (ქრისტიანული კულტურის დ. ჩ.) ,,თანამგზავრი" შეიძლებოდა ყოფილიყო ებრაული კულტურა არა მარტო იმის გამო, რომ ქრისტიანობას იუდაიზმში ჰქონდა ფესვი გადგმული, ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ებრაული კულტურა საქართველოში ჩატანილი იყო ქრისტიანობის გავრცელებამდე ათი საუკუნით ადრე". წმინდა ნინო ქრისტიანობის დაუღალავი ქადაგებით, ავადმყოფების განკურნებით ცდილობდა დაახლოებოდა სამეფო კარს. მას ამ განზრახვის ასრულებაში ეხმარებოდნენ ადგილობრივი ებრაელები. ისინი იყვნენ ნინოს ინფორმატორები ბიბლიურ/ქრისტიანულ საკრალურ ადგილებსა თუ ნივთებთან დაკავშირებით.

დისკუსია. ებრაელების ქართლში დასახლება ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ოცდაექვს საუკუნეს ითვლის. მკვლევართა ნაწილი (პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე..) თვლის, რომ ებრაული თემა ქართული ისტორიოგრაფიისათვის მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მე-9 საუკუნეში ხდება ბაგრატიონთა გვარის ამაღლება და მათ თავიანთი წარმომავლობა დაუკავშირეს ბიბლიურ დავითს. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ,,მოქცევაი ქართლისაი" გადმოგვცემს ქართველი ხალხის სამხრეთიდან, ,,არიან-ქართლიდან" გადმოსახლების საკითხს და თქმულება ბაგრატიონთა გვარის წარმოშობაზე მე-9 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავდა ქართული სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის იდეის განმტკიცებას (ინგოროყვა პ., 1954, 77-84). ქართულ ისტორიოგრაფიას გაცილებით ადრე გაუჩნდა ინტერესი ებრაული სამყაროს მიმართ, ვინაიდან მსოფლიო მოვლენების საქმის კურსში იყო. ებრაული სამყაროსადმი ინტერესი მეზობელ სომხეთშიც აქტუალური ყოფილა. ამას ადასტურებს მოვსეს ხორენაცის წინასიტყვაობაც, რომელიც მან თავის ,,სომხეთის ისტორიას" დაურთო. იგი მიმართავს მეხუთე საუკუნის მოღვაწე საჰაკ ბაგრატუნის: ,,...ამჟამად შენ გხედავთ ასეთს (ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულს-დ. ჩ.) ...შენ ყველა წინამორბედზე უდიდებულესად და უმაღლესად...ხოტბის ღირსად უნდა მიგიჩნიოთ...ამის გამო ხალისით ვიშრომებ...რათა ამით უკვდავგყო შენც და შენი შთამომავლობა, რამეთუ ხარ გვარით ძირძველი და მამაცი..." (მოვსეს ხორენაცი, 1984, 56).

ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს, რომ: ,,..გასარკვევია, გვარის აღზევებამ გამოიწვია ლეგენდების შექმნა თუ ლეგენდებმა გარკვეული როლი ითამაშა გვარის დაწინაურების საქმეში. ერთი რამ კი უჭველია: თქმულება ბაგრატიონ-ბაგრატუნების ებრაულ წარმოშობაზე უკვე არსებობდა მოვსეს ხორენაცამდე (მე-5 საუკუნემდე) კარგა ხნით ადრე, მანამდე, ვიდრე ბაგრატიონები ქართლში მოიპოვებდნენ სერიოზულ პოლიტიკურ ავტორიტეტს" (მამისთვალიშვილი ე., 1995, 196). ბაგრატიონების ებრაული წამომავლობის შესახებ ლეგენდა მრავალ ავტორს აქვს განხილული (ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.).

ებრაელებსა და ქართველებს შორის ლოიალური დამოკიდებულება ქართულ საისტორიო წყაროებში მრავლჯერაა დადასტურებული. ეს რამდენიმე ასპექტით უნდა აიხსნას: ე. მამისთვალიშვილს ებრაელებსა და ქართველებს შორის ანტაგონიზმის არარსებობისა და ქართული მემატიანეების მიერ ებრაული თემის წინ წამოწევის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს. მკვლევარის აზრით ,,...ებრაელები საქართველოში იმ პერიოდში მოვიდნენ, როდესაც ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, მათ თან მოიტანეს ვაჭრობისა და ხელოსნობის მოწინავე ფორმები, რითაც მაშინდელი ქართული საზოგადოების პატივისცემას მოიპოვებდნენ" (მამისთვალიშვილი ე., 1995, 152). ებრაელების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ისინი ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ კი არ მოვიდნენ ქართლში, არამედ თვითონ მიიღეს უშუალო მონაწილეობა ამ რელიგიის დანერგვაში. ქართველი ებრაელები მიჩნეული იყვნენ ებრაელების იმ ნაწილად, რომლებსაც ბრალად არ ედებოდათ მაცხოვრის ჯვარცმა. ებრაელებს არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ

ქართველებისთვის ,,ჰურიანი ქართველნი“ წმინდა მიწასთან დაკავშირების საუკეთესო საშუალებად იქცნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ,,ქრისტიანული ლიტერატურა ებრაელების მონაწილეობით იქმნებოდა და, ამდენად, მასში ვერ აისახებოდა წინააღმდეგობა“.

ისტორიული წყაროების გადმოცემით ებრაულ მოსახლეობასთან წმინდა ნინო აქტიურად ურთიერთობდა. მცხეთისკენ მიმავალ გზაზე მან ჯერ ურბნისის ებრაულ თემთან იცხოვრა გარკვეული ხანი: ,,... მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა-იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური; რამეთუ ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყვანისცემდეს... და შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათვის ებრაულისა, და დაყო მუნ თუე ერთი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 87-88). ურბნისში ერთ-ერთი დიდი ებრაული დიასპორა ცხოვრობდა. მათ საკუთარი სინაგოგა ჰქონდათ, სადაც ნინომ ებრაულ ენაზე გამოიკითხა შესაძლო მარშუტი და ერთი თვის განმავლობაში დარჩა. შემდეგ კი მცხეთაში მოსული დაუკავშირდა ადგილობრივ ებრაელებს. მისი პირველი მოწაფენი სწორედ ,,ჰურიანი ქართველნი“ იყვნენ. არც ისაა შემთხვევითი, რომ თავდაპირველად ნინოს მიერ ავადმყოფების განკურნება და სასწაულების ჩადენა კვლავ ებრაელებს უკავშირდება.

მემატიანე გადმოგვცემს მცხეთის მოსახლეობის ყოველდღიურობას, მათ მიერ ,,უცხო“ ღმერთების თაყვანისცემას და ცდილობს, რაც შეიძლება შემაძრწუნებლად, სასტიკად წარმოსახოს რეალობა, რომლის ფონზე ღმერთი, რომელსაც ნინო ქადაგებდა, იყოს მეტად ჰუმანური და კაცთმოყვარე ,,... და იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა... და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა... უკუეთუ ვინმე შეეხებინ, თავი თვისი სიკუდილად განწირის“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 89). არმაზის, ზადენის, გაცის, გაიმის კერპების გარდა მცხეთაში ზოროასტრული რელიგიის ცენტრი ,,მოგვთა“ და რამდენიმე (ყოველშემთხვევაში ორზე მეტი) სინაგოგა- ,,ბაგინი ურიათა“ არსებობდა. ,,აი, ასეთი ჭრელი, პოლითეისტური სამყარო ხვდება წმ. ნინოს ქართლში, მთელს ქვეყანაში, რადგან მისი დედაქალაქის სულისკვეთება ქვეყანასაც უთუოდ გადასწვდებოდა“ (ყიფიანი გ., 2004, 5). ,,...მაშინ ტიროდა და სულთ-ითქმიდა ნეტარი ნინო ღმრთისა მიმართ ცდომათა მათთათვის ქვეყნისა ჩრდილოსა, მიფარვასა მათგან ნათლისასა და უფლებასა მათ ზედა ბნელსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 90). ნინომ საკუთარი თვალით იხილა არმაზის კერპის მრისხანება, ადგილობრივების მიერ კერპთა მსახურება და გული სიბრალულით აღევსო.

გ. ყიფიანი აღნიშნავს: ,,არმაზციხის მოპირდაპირე მთა... ასევე ნინოს მოღვაწეობის არეალში შემოდის. წმ. ნინო თანმიმდევრულად, გულდასმით მიმოიხილავს და შემდეგ მოქმედებს ყველა იმ მეტ-ნაკლებად გამორჩეული წინარექრისტიანული საკულტო ადგილის მიმართ, რომელიც წინაღობად შეიძლება იქცეს ქრისტიანობის დამკვიდრების საქმეში“ (ყიფიანი, 2004, 14). ნინომ თავისი ლოცვით დაამხო წარმართული კერპები, მისთვის ერთნაირად მიუღებელი იყო არმაზიც და ზადენიც, თუნდაც იმიტომ რომ ორივე კერპი ადამიანთა მსხვერპლს თხოულობდა. მისთვის ასევე მიუღებელია ზოროასტრული ცეცხლმსახურება. მისთვის უფრო მისაღებია იუდაური აღმსარებლობა, თუნდაც იმიტომ, რომ მონოთეისტური ღვთისმსახურების წიაღში გაცილებით მეტი ძალების მოკრება შეუძლია, ასევე მის ქადაგებას მოწესრიგებული რელიგიური დოქტრინა უფრო გაიგებდა, რომელთანაც საზიარო მამაღმერთი ჰყავდა. ნინო დიპლომატიურად, მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირით ცდილობდა ავტორიტეტის მოპოვებას. მისთვის სამეფო კარისკენ

დაახლოების გზა ადგილობრივების გულის მოგებაზე გადის. იგი მკურნალობდა ავადმყოფებს და, ამავე დროს, დაუღალავად ქადაგებდა ქრისტეს სჯულს.

მცხეთაში დამკვიდრებული ნინო ცდილობდა საკრალური ადგილები შეესწავლა და ქრისტიანობის საქადაგებლად გამოეყენებინა. ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო ელიოზის სახლი. ე. მამისთვალიშვილი წერს: ,,წმინდა ნინო ცდილობდა დაახლოვებოდა ადგილობრივ მცხოვრებთ. მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო ებრაელებთან კონტაქტი ენის ცოდნის გამო. მათგან გაიგო ნინომ ბევრი რამე, ადგილობრივი ცხოვრების წესი, სამეფო ხელისუფლების შესახებ... მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, დაედგინა უფლის კვართის ადგილმდებარეობა, რის გამოც ,,მრავალგზის მოვიდის უბანსა ურიათასა ენისათვის ებრაულისა და გამოძიებისათვის კუართისა უფლისა, რომელ ასმიოდა იერუსალემს ნიაფორისაგან [1], ვითარმედ ,,კუართი უფლისა მცხეთელ ჰურიათა წარუღიაო“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 95). ე. მამისთვალიშვილი წერს: ,,...ნინო განმანათლებელი მრავალჯერ დაინტერესდა კვართის განსვენების ადგილით, მაგრამ ყოველთვის ბუნდოვან პასუხს იღებდა. სიდონიას თავისი მამა აბიათარისაგან სცოდნია, რომ ის ადგილი (კვართის დაფვლის დ. ჩ.) ორმაგი ძალით ყოფილა შემოსილი: ქრისტეს კვართთან ერთად ოდესღაც იქ დაუმარხავთ ბიბლიური წინასწარმეტყველი ელიას ,,ხალენი“ [2] (წამოსასხამი“ (ე. მამისთვალიშვილი, 1995, 140-141). ,,მოქცევაი ქართლისაი“ გადმოგვცემს: ,,არს სხუაიცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი იგიცა, ხალენი ელიაისი ამას ქალაქსა შინა, საკურთხევლის ქვეშ, ქვათა შინა ულპოლველად ვიდრე ჟამამდე მისა“ (,,მოქცევაი ქართლისაი“, 1963, 130).

---

[1] ,,მოქცევაის“ ძალიან საინტერესო პერსონაჟია სარა ნიაფორი. იგი წარმოშობით იყო დვინელი სომეხი, რომელიც იერუსალიმში ცხოვრობდა. წყარო მას ასახელებს, როგორც ,,ნიაფორი სარა ბეთლემელი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 73). მას მსახურებდა ნინოს დაობლებული დედა სოსანა. მას შემდეგ, რაც ვინმე ჭაბუკმა ზაბილონმა მოაქცია ,,ბრანჯნი“ და სახელი გაითქვა, როგორც ქრისტესმოყვარემ, სარა ნიაფორმა შესთავაზა იერუსალიმის პატრიარქ იუბენალს მისთვის ცოლად მიეცა ,,დაი თვისი“ სოსანა. მათ შეეძინათ ნინო, რომელიც დედამ ,,მსახურებასა შინა გლახაკთასა“ აღზარდა. თორმეტი წლის იყო ნინო, როცა მისმა მშობლებმა მიატოვეს საერო ცხოვრება. ნინო ,,მსახურებდა ნიაფორსა სომეხსა დვინელსა ორ წელ და ჰკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათთვის ქრისტესთა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 77). სარა ნიაფორი უაღრესად განსწავლული ყოფილა ქრისტეს სჯულში ,,არავინ ყოფილიყო და არცა ვინ იყო შორის იერუსალემისა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძუელისა და ახლისათა (ძველი და ახალი აღთქმა დ. ჩ.), ყოველსავე ზედამიწევნით (იქვე). სწორედ მისგან გაიგო წმინდა ნინომ ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელი. კითხვაზე, თუ სად იყო უფლის კვართი, სარა ნიაფორმა მიუგო: ,,არს აღმოსავლეთით ქალაქი სახელით მცხეთა, ქვეყანა ქართლისა და სომხითისა-მთეულეთი საწარმართო, არამედ ჟამსა ამას უჟიკთა სახელმწიფოდ შექმნილ არს იგი(იქვე). ბუნებრივია, სარა ნიაფორი, რომელიც წარმოშობით დვინიდან იყო, მშვენივრად იცნობდა ქართლს, მცხეთას და იქ მიმდინარე პოლიტიკური და რელიგიური მოვლენების საქმის კურსშიც იყო. იგი, ასევე დიდი ინტერესით კითხულობდა სამეფო კარის დამოკიდებულებას ქრისტიანობის შესახებ. სწორედ სარას შუამდგომლობით გაემართა ნინო ელენე დედოფალთან ქრისტიანობის საქადაგებლად.

[2] ელია წინასწარმეტყველი ძველი აღთქმის პერსონაჟთაგან ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა. მისი წინასწარმეტყველებანი, სჯულის სიმტკიცისადმი გაწეული ღვაწლი შთამბეჭდავად წარმოადგენს ამ უაღრესად დამაშვრალი რჩეულის მონუმენტურ სახეს. მან სიცოცხლეშივე მრავალი სასწაული მოახდინა და ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად. ამ ქვეყნიდან განშორების ჟამს მან თავისი ხალენი/მოსასხამი მოწაფეს-ელისეს დაუტოვა. ამის შემდეგ ელია წინასწარმეტყველი თაბორის მთაზე მაცხოვრის ფერისცვალებამდე აღარავის უნახავს (ლუკა 9,30; მათე 17,3; მარკოზი 9,4). მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით ელია მეორედ მოსვლის წინ ანტიქრისტეს სამხილებლად ენოქთან ერთად უნდა მოვიდეს (მათე 11,14; მარკოზი 9,12)

წმინდა ნინო, თავისი ქმედებებით ცდილობდა, წარმოეჩინა ქართლი, როგორ ძველი და ახალი აღთქმის გადაკვეთის ადგილი, რაც მის მისიას უფრო შთამბეჭდავს ხდიდა. მისთვის ადგილობრივი ებრაელებისგან მოსმენილი ინფორმაცია ფრიად სარწმუნო იყო და უფრო და უფრო განამტკიცებდა საკუთარი მისიის მნიშვნელობას. სიდონია და აბიათარი, რომლებიც იქცნენ ნინოს მთავარ ინფორმატორებად, წიგნიერი და თემში საკმაოდ პოპულარული ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ. აბიათარი იყო ,,მღდელი.. წილით ხეუდრებული სამღდელოსა ზედა მის წელიწადისა ოდენ (მოქცევაი, 1963, 142-144)". იგი იყო ბენიამინის ტომიდან და თავის წარმომავლობას უკავშირებდა ელიოზ მცხეთელს, რომელსაც მიეწერება ქრისტეს კვართის ჩამოტანა ქართლში. ნინო ცდილობდა, დაახლოებოდა სწორედ წიგნიერ, იუდაურ რელიგიაში გათვითცნობიერებულ ადამიანებს, რომელთათვისაც უფრო ადვილი იქნებოდა მამაღმერთის აპოსტასის აღქმა.

ნინო უაღრესად განსწავლული იყო საღვთო საკითხებსა და ძველსა და ახალ აღთქმაში. აბიათარი მის შესახებ ამბობს: ,,მაშინ აღიღო პირი თვისი წმიდამან ნინო, ვითარცა ჯურღმულმან აღმომდინარემან, და იწყო სიტყუად საუკუნითგან, და წიგნთა ჩვენთა ზეპირით აღმოიტყოდა და განმიმარტებდა და ვითარცა მძინარესა განმაღვიძებდა და ვითარცა დასულებულსა გონიერ მყოფდა...." (ქართლის ცხოვრება 1955, 97). მაშასადამე, ნინომ არა მხოლოდ ზეპირად იცოდა რელიგიური ლიტერატურა, არამედ გამოირჩეოდა საოცარი მჭევრმეტყველებით და შეეძლო გავლენა მოეხდინა მსმენელზე. აბიათარმა, მისმა ქალიშვილმა სიდონიამ და კიდევ რამდენიმე ებრაელმა იწამეს ქრისტე. ნინოს მცდელობამ, ებრაელებს წარმოედგინათ, რომ ებრაელების სახელმწიფოებრიობის გაქრობა სწორედ უფლის რისხვა იყო იმის გამო, რომ ებრაელებმა ვერ იცნეს მესია, ქრისტე და ჯვარზე გააკრეს იგი, შედეგი გამოიღო. პირველი პროზელიტების გაჩენამ მცხეთაში მალე შეუქცევადი ხასიათი მიიღო. იუდაური ებრაული თემი დაიშალა და მისი ნაწილი გაიფანტა მთელ კავკასიაში, ნაწილი კი პირველი იუდაურ-ქრისტიანული თემის წევრი გახდა. თვითონ მოქცეული აბიათარი და მისი ქალიშვილი სიდონია ქრისტიანობის დაუღალავი მქადაგებლები გახდნენ. ისინი მხარში უდგნენ ნინოს მთავარი მიზნის განხორციელებაში-ჯერ მეფე-დედოფლის, შემდეგ კი მთელი ქვეყნის გაქრისტიანებაში. .

ებრაული თემის დამსახურება ქრისტიანული რელიგიის იდეების გავრცელების საქმეში, ლეონტი მროველს აძლევდა საშუალებას, ესაუბრა ებრაელებზე, როგორც ღვთის რჩეულ ერზე, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართლში ჯერ მესიანისტური იდეების გავრცელებაში, საქართველოში ქრისტიანული სიწმინდეების (ელია წინასწარმეტყველის ხალენი და ქრისტეს კვართი) ჩამოტანაში, ქრისტიანობის ქადაგებასა და გავრცელებაში (აბიათარი, სიდონია...). აშკარაა ის კეთილგანწყობა, რომლითაც მემატიანე წერს ქართველ ებრაელებზე (აბიათარ ურიაყოფილი, სიდონია..). წყაროების ცნობით, ქართლში იმდენად გავრცელებული იყო მესიანისტური იდეები, რომ ქრისტეს ჯვარზე გაკვრის ტკივილმა ისე ძალუმად მოაღწია მცხეთის ებრაელობამდე, რომ ელიოზის დედამ ,,იკრჩხიალნა და თქუა: ,,მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო" და გარდაიცვალა. ასეთი მგრძნობიარე პასაჟების ჩართვით მემატიანენი ებრაელების მიმართ დადებით განწყობას ქმნიდნენ. ყოველშემთხვევაში, ქართული ნარატიული წყაროები ადასტურებენ, რომ ,,ჰურიათა ქართველთა" მძაფრად განიცადეს მესიის არცნობა. ეს გახდა ყველაფრის უბედურების მიზეზი: ,,ცის-კიდეთა განბნევა, მეფობისაგან დაცემა, ტაძრისა მის წმიდისა მიღება, ერისა უცხოსა წოდება და დიდება მათი მათდა მიცემად" (ქართლის ცხოვრება 1955, 101). ქართველი ებრაელების ნაწილისთვის ქრისტეს ჯვარცმა იქცა ,,ურიათა სირცხვილად" (იქვე). ხშირად ახალი რელიგიის მქადაგებლების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. აბიათარი, რომელიც ქრისტეს მოძღვრებისადმი ერთგულებითა და ღვაწლით გამოირჩეოდა და მატიანე მოიხსენებს ,,როგორც მეორე პავლე": ,,... და ასწავებდნ (ნანა დედოფალს) წმიდა ნინო და აბიათარ, ახალი პავლე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი" (მოქცევაი, 1963, 105). აბიათარი

თანამოძმეებმა კინაღამ ჩაქოლეს მამა-პაპათა რელიგიის უარყოფის გამო, თუმცა ის და მისი ქალიშვილი, ასევე ქრისტეს სხვა მიმდევრები ტრადიციის მიერ ელიოზის და მასთან ერთად იერუსალიმში წასულ ,,ჰურიათა ქართველთა" რიგებში ჩადგნენ, ამით ისინი შეუერთდნენ ,,მართალთა" რიგებს. ნინოს მიერ ქადაგებული ქრისტიანობა მარტო აბიათარსა და მის ქალიშვილს კი არ მიუღიათ, არამედ ,,ნათესავთა მათთა მრავალთა" და ეს აბიათარის დიდი ღვაწლის ნაყოფი უნდა ყოფილიყო (დ. ჩოჩიშვილი, 2006, 124). ალბათ სწორედ ამიტომ აიღეს ებრაელებმა ხელი თავიანთ სულიერ წინამძღოლზე და მისი პროზელიტიზმით აღშფოთებულნი ცდილობდნენ მის ფიზიკურ განადგურებას. აბიათარმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ახალ რელიგიურ თემში. აღსანიშნავია, რომ მთიულეთის გასაქრისტიანებლად მიმავალმა ნინომ თავის სანაცვლოდ მცხეთის ქრისტიანი მრევლი სწორედ აბიათარს ჩააბარა. აბიათარი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული ,,აბიათარ ურიაყოფილის" სახელით (ქართველ წმინდანთა ცხოვრება, 2001, 269). სიმბოლურია, რომ მისი ხსენების დღედ დადგენილია 1/14 ოქტომბერი. ამდენად, ,,დიდი მცხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ებრაელებმა აქტიური როლი შეასრულეს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა გავრცელების საქმეში. ამ ცნობებს გარკვეული საბუთიანობა შემატა დიდი მცხეთის სამაროვნებზე II-III სს-ით დათარიღებული სამარხთა ჯგუფის გამოყოფამ „ (ბიბილური თ., 1996, 6-7) [1].

ამრიგად, წმინდა ნინოს მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ებრაელებთან, რომლებიც IV საუკუნის ქართლში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მცხეთა, სადაც წმინდა ნინო მოღვაწეობდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო არა მხოლოდ ქართველი მოსახლეობისთვის, არამედ იქ არსებული ებრაული თემისთვისაც. მცხეთაში დასახლებული წმინდა ნინო თავის ქადაგებას იმდროინდელ ებრაულ თემშიც ავრცელებდა. მისი სწავლება ეფუძნებოდა ქრისტიანული რწმენის განმარტებას, რომელიც ებრაული კანონიდან და წინასწარმეტყველთა ნაამბობიდან მომდინარეობდა. ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში წმინდა ნინოს მოღვაწეობა ებრაელებში აღიქმება, როგორც სარწმუნოების გადაცემა ძველი აღთქმის რწმენიდან ახალი აღთქმის რწმენაზე. წმინდა ნინო ცდილობდა ქრისტიანული ჭეშმარიტების გავრცელებას ყველასთვის, მიუხედავად მათი რელიგიური წარმომავლობისა. წმინდა ნინოს ქადაგებით ქრისტიანობა გახდა დომინანტი სარწმუნოება, თუმცა ებრაელების კვართთან დაკავშირებულმა ისტორიულმა მოგონებამ მათი როლი ქართული ქრისტიანობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გახადა. წმინდა ნინოსა და ებრაელების ურთიერთობა სიმბოლოა ქრისტიანობის და იუდაიზმის ისტორიულ კავშირისა საქართველოში. ეს არის ერთობლივი რელიგიური და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელმაც განსაზღვრა ქართული ქრისტიანული იდენტობა.

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე მაინც იკვლევდა გზას ქართლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. ამას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. მაგ. მცხეთაში აღმოჩენილი III საუკუნის სამარხი, სადაც სანეკე ბეჭდის ინტალიოზე ამოკვეთილი იყო ადრექრისტიანული სიმბოლო თევზისა და ღუზის სახით (სურგულაძე თ., ბიბილური თ., ძნელაძე მ., 1981, 74) აგრეთვე, ერწოს ველის სოფ. მაგრანეთში III საუკუნის სამარხში აღმოჩენილი ბეჭედი ქრისტიანული მონოგრამით, რომელიც ასე იკითხება Iesus Xristos palma Emerita (რამიშვილი რ., 2001, 98-99). ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ქრისტიანობისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით შეიმჩნევა სამეფო დომენის ტერიტორიაზე, ანუ იქ სადაც ყველაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ ებრაელები

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ჭიჭინაძე, ზ. (1904). ქართველთ ებრაელნი საქართველოში. თბ.

,,მოქცევაი ქართლისაი". (1963). ძველი ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლები, წიგნი 1, თბ.

ქართლის ცხოვრება. (1955). ტ 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.

მოვსეს ხორენაცი. (1984). სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ., აბდალაძემ, თბ.

სანაძე, მ. (2001). ,,ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ.

დავიდი ი. (1976). ნაწერები 1, ტელ-ავივი.

მამისთვალიშვილი, ე. (1995). ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ.

ინგოროყვა, პ. (1954). გიორგი მერჩულე, ნაწ. 1, თბ.

ჩოჩიშვილი, დ. (2005). ელია წინასწარმეტყველის ხალენი-საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდი სიწმინდე, თბილისი.

ჩოჩიშვილი, დ. (2006). ებრაულ-ქართული ურთიერთობების ისტორია (ძვ. წ. VI-ახ. წ. IV სს), თბ.,

ყიფიანი, გ. (2004). წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, თბ.

ქართველ წმინდანთა ცხოვრება. (2001). თბ.

ბიბილური, თ. (1996).ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება ქართლის (იბერიის) სამეფოში და დიდი მცხეთის ებრაული თემი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო პალესტინისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი", თბ.

რამიშვილი, რ. (2001). ადრექრისტიანობასთან დაკავშირებული მასალები მაგრანეთის სამაროვანიდან, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბ.

სურგულაძე თ., ბიბილური თ., ძნელაძე მ., (1981). ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან, სმსმ, ტ. 101, N3.

პატარიძე, ლ. (2001). მცხეთის ებრაული დიასპორა I-IV ს-ში, ქრისტიანული არქეოლოგიის მე-5 კონფერენცია, თბ.

REFERENCES

ch'ich'inadze, z. (1904). kartvelt ebraelni sakartveloshi. tb.

,,moktsevai kartlisai". (1963). dzveli kartuli hagiograpiis dzeglebi, ts'igni 1, tb.

kartlis tskhovreba. (1955). t' 1, t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier, tb.

movses khorenatsi. (1984). somkhetis ist'oria, dzveli somkhuridan targmna, shesavali da shenishvnebi daurto al., abdaladzem, tb.

sanadze, m. (2001). ,,kartlis tskhovreba“ da sakartvelos ist'oriis udzvelesi p'eriodi (kartlosidan mirianamde), tb.

davidi i. (1976). nats'erebi 1, t'el-avivi.

mamistvalishvili, e. (1995). kartvel ebraelta ist'oria. tb.

ingoroqva, p'. (1954). giorgi merchule, nats'. 1, tb.

chochishvili, d. (2005). elia ts'inasts'armet'qvelis khaleni-sakartvelos samotsikulo ek'lesiis didi sits'minde, tbilisi.

chochishvili, d. (2006). ebraul-kartuli urtiertobebis ist'oria (dzv. ts'. VI-akh. ts'. IV ss), tb.,

qipiani, g. (2004). ts'mida nino da dzveli sakartvelos dedakalaki, tb.

kartvel ts'mindanta tskhovreba. (2001). tb.

bibiluri, t. (1996).krist'ianobis shemosvla-gavrtseleba kartlis (iberiis) sameposhi da didi mtskhetis ebrauli temi, saertashoriso sametsniero k'onperentsia ,,sakartvelos ebraelta ist'oria, sakartvelo p'alest'inisa da kartul-ebrauli urtiertobani“, tb.

ramishvili, r. (2001). adrekrist'ianobastan dak'avshirebuli masalebi magranetis samarovanidan, krist'ianuli arkeologiis V k'onperentsia, tb.

surguladze t., bibiluri t., dzneladze m., (1981). adreuli krist'ianobis simbolo mtskhetidan, smsm, t'. 101, N3.

p'at'aridze, l. (2001). mtskhetis ebrauli diasp'ora I-IV s-shi, krist'ianuli arkeologiis me-5 k'onperentsia, tb.